საქმე N030310023007892107
№3/79-23

9727630185350
www.ecd.court.ge

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

05 ივნისი, 2024 წელი ქ. ფოთი

შესავალი ნაწილი

ფოთის საქალაქო სასამართლო
მოსამართლე გიორგი თუნაური
სხდომის მდივანი თამარ ქირია

მოსარჩელე - ლ----------ა
წარმომადგენელი - გ----------ა

მოპასუხე - ქ----------ა
წარმომადგენელი - თ----------ი, თ----------ა

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. ბათილად იქნეს ცნობილი ქ----------ის 2023 წლის 07 ივლისის N42-4223188118 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

1.2. ბათილად იქნეს ცნობილი ქ----------ის 2023 წლის 23 აგვისტოს N42-422323563 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

1.3. მოპასუხე ქ----------ას დაევალოს გარემოებების სრულყოფილად შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელე ლ---------- ათვის (პ/ნ 4----------) სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ.

სარჩელი დამყარებულია შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2023 წლის 16 თებერვალს ქ---------–---------- მოულოდნელად მოვარდნილმა ძლიერი ქარის ნაკადმა მოსარჩელის საცხოვრებელ სახლს, დაახლოებით, 135 კვ.მ. ახადა სახურავი. ასევე ქარმა ერთ წუთზე ნაკლებ დროში დააზიანა მეზობელთა სახლებიც.

დაზარალებულთა მიერ 112-ში განხორციელებული ზარის საფუძველზე შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამაშველო ბრიგადა. მათ მიერ აღნიშნული ფაქტის შესახებ ეცნობა ქ. ფოთის მერიის წარმომადგენელს კუნძულის უბანში გ-–----------ს. სამაშველო სამსახურის მიერ შედგა ოქმი, ასევე მოხდა ფაქტის ფოტო-დოკუმენტირება, რომლითაც დასტურდება ძლიერი ქარის მიერ საცხოვრებელი სახლის დაზიანების ფაქტი. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ პატრულის ეკიპაჟი და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

მოსარჩელემ ქ. ფოთის მერს მიმართა განცხადებით, რითაც ითხოვდა სტიქიური უბედურების შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, რასთან დაკავშირებითაც მიიღო უარი. მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ 2023 წლის თებერვალში ქ. ფოთის მუნიციპალიტეტში სტიქია (ძლიერი ქარი) არ დაფიქსირებულა.

აღნიშნული უარი მოსარჩელის მიერ გასაჩივრდა ადმინისტრაციული საჩივრით. ასევე მოითხოვა აღნიშნულ საკითხზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების მიწოდება. ხსენებულ საჩივარზე მერიის პასუხით მას უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ასევე მიეთითა, რომ მის მიერ მოთხოვნილი ადმინისტრაციული წარმოების მასალები 21 თებერვლის განცხადებაზე არ არსებობს.

ამის შემდგომ 07 სექტემბერს მერის მიერ ჩაინიშნა შეხვედრა მოსარჩელესთან აღნიშნული საქმის განსახილველად, თუმცა ამავე დღეს აღმოჩნდა, რომ მერმა ქალაქი დატოვა და შეხვედრა ჩაიშალა.

2023 წლის 13 სექტემბერს გაფორმებული ფასიანი მომსახურების შესახებ ფმ-1/1299 ხელშეკრულების თანახმად, ქ. ფოთის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ 2023 წლის 16 თებერვალს დაფიქსირდა საშიში მეტეოროლოგიური მოვლენა-ძლიერი შტორმული ქარი, სიჩქარით 18 მ/წმ-ში.

მოსარჩელის განმარტებით, მის მიერ ამოწურულია უფლების დაცვის კანონმდებლობით მინიჭებული საშუალებები, რის გამოც მიმართავს სასამართლოს გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და ქმედების განხორციელების დავალების მოთხოვნით.

2. მოპასუხის პოზიცია

2.1. მოპასუხე - ქ-–----------–----------ის წარმომადგენელმა წარმოდგენილი

შესაგებლითა და სასამართლო სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტებით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ არ არსებობს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი, რის გამოც სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. 2011 წლის 20 ოქტომბერს მომზადებული საჯარო რეესტრის ამონაწერით, უძრავ ქონებაზე, მდებარე - ქალაქი ფ----------9, 0----------, 6047.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებულია ლ---------- საკუთრების უფლება.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (ს.ფ. 20);
- მხარეთა ახსნა-განმარტება;

3.1.2. 2023 წლის 21 თებერვალს ლ---- რ---- განცხადებით მიმართა ქ----------ას თებერვლის თვეში ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავის აღდგენისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- 21.02.2023 წლის განცხადება (ს.ფ. 25);
- მხარეთა ახსნა-განმარტება;

3.1.3. 2023 წლის 07 ივლისის ქ----------ის N42-4223188118 გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა ლ---------- 2023 წლის 21 თებერვლის განცხადება დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავის აღდგენისათვის მატერიალური დახმარების გაწევის თაობაზე.

უარის თქმის საფუძვლად მერიამ მიუთითა, რომ 2023 წლის თებერვლის თვეში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში სტიქია (ძლიერი ქარი) არ დაფიქსირებულა.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- ქ----------ის 2023 წლის 07 ივლისის N42-4223188118 წერილი (ს.ფ. 26);
- მხარეთა ახსნა-განმარტება;

3.1.4. ქ----------ის 2023 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილება ლ---------- მიერ ადმინისტრაციული საჩივრით იქნა გასაჩივრებული ქ----------

––––––––––––––აში.

ქ––––––––––––––––––––––––––––––––––––––ის 2023 წლის 23 აგვისტოს N42-422323563 წერილით ლ-––––––––––– ეცნობა, რომ 2023 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილებით გასცეს პასუხი მის მიერ 2023 წლის 21 თებერვალს შეტანილ განცხადებაზე.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- ადმინისტრაციული საჩივარი (ს.ფ. 28-29);
- ქ––––––––––––––––––––––––––––––––––––––ის 2023 წლის 23 აგვისტოს N42-422323563 წერილი
- მხარეთა ახსნა-განმარტება;

3.1.5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2023 წლის 26 ივლისის ცნობის მიხედვით, 2023 წლის 16 თებერვალს 112-დან ფოთის სახანძრო სამაშველო სამმართველოს საოპერატორო პუნქტში შევიდა შეტყობინება ქ. ფოთი, ტ---- ქ---- N-----ში ძლიერი ქარის შედეგად საცხოვრებელი სახლის სახურავის დაზიანების შესახებ. შეტყობინების ადგილზე გავიდა ფოთის სახანძრო - სამაშველო სამმართველოს ერთი ჯგუფი. მისვლის მომენტში აღმოჩნდა, რომ საცხოვრებელი სახლის სახურავი ქარისგან იყო დაზიანებული. მათ მიერ რაიმე სახის სამაშველო სამუშაოები არ ჩატარებულა.

აღნიშნულის შესახებ ეცნობა ქალაქ ფოთის მერიის წარმომადგენელს კუნძულის უბანში გ-----------ს.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2023 წლის 26 ივლისის ცნობა (ს.ფ. 23);

3.1.6. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 15 სექტემბრის წერილის მიხედვით, ქ. ფოთის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემების თანახმად, 2023 წლის 16 თებერვალს დაფიქსირდა საშიში მეტეოროლოგიური მოვლენა - ძლიერი შტორმული ქარი, მაქსიმალური სიჩქარით 18 მ/წმ-ში.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 15 სექტემბრის წერილი (ს.ფ. 31);

3.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

3.2.1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს

შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. აღნიშნული ნორმის შინაარსი გულისხმობს იმას, რომ მოდავე მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა აქვთ განკარგონ ფაქტიური გარემოებების დადგენის საპროცესო საშუალებები, აგრეთვე, მხარეთა უფლებას, მიუთითონ ფაქტებზე თავიანთი მოთხოვნების დასასაბუთებლად და წარმოადგინონ მტკიცებულებები ამ ფაქტების დადასტურება-დამტკიცებისათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ერთ-ერთი მხარის ახსნა-განმარტება თუ მას არ ეთანხმება მოწინააღმდეგე მხარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ მტკიცებულებად, თუ იგი დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარის მიერ მიცემული ნებისმიერი ახსნა-განმარტება სადავო ურთიერთობის ან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად უნდა ჩაითვალოს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილ პრინციპებს.

მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე მხარე იმ გარემოებას, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით, ასაბუთებს სასამართლოსათვის მიცემული ახსნა-განმარტებით, რაც სხდომაზე მონაწილე მხარეთა განმარტებებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ვერ იქნება გაზიარებული.

3.2.2. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ 2023 წლის 16 თებერვალს სტიქიური მოვლენის (ძლიერი შტორმული ქარი) შედეგად დაზიანდა მოსარჩელე ლ-––––––––––– საცხოვრებელი სახლის სახურავი.

მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2023 წლის 26 ივლისის ცნობის თანახმად, 2023 წლის 16 თებერვალს 112-დან ფოთის სახანძრო სამაშველო სამმართველოს საოპერატორო პუნქტში შევიდა შეტყობინება ქ. ფოთი, ტექსილის ქუჩა N19-ში ძლიერი ქარის შედეგად საცხოვრებელი სახლის სახურავის

დაზიანების შესახებ. შეტყობინების ადგილზე გავიდა ფოთის სახანძრო - სამაშველო სამმართველოს ერთი ჯგუფი. მისვლის მომენტში აღმოჩნდა, რომ საცხოვრებელი სახლის სახურავი ქარისგან იყო დაზიანებული. მათ მიერ რაიმე სახის სამშველო სამუშაოები არ ჩატარებულა.

აღნიშნულის შესახებ ეცნობა ქალაქ ფოთის მერიის წარმომადგენელს კუნძულის უბანში გ-–––––––––ს.

მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რომ გ-–––––––––– არის ქალაქ ფოთის მერიის წარმომადგენელი კუნძულის უბანში, რომელმაც ელექტრონულ ფოსტაზე გაუგზავნა ლ-–––––––––ას წარმომადგენელს საცხოვრებელი სახლის და დაზიანების ამსახველი ფოტომასალა. (იხ. ს.ფ. 61-63);

საქმეში წარმოდგენილია აგრეთვე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 15 სექტემბრის წერილი, რომლის მიხედვითაც, ქ. ფოთის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემების თანახმად, 2023 წლის 16 თებერვალს დაფიქსირდა საშიში მეტეოროლოგიური მოვლენა - ძლიერი შტორმული ქარი, მაქსიმალური სიჩქარით 18 მ/წმ-ში.

სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი სსიპ სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ მომზადებული ინფორმაციის თანახმად, 2023 წლის 15 თებერვლიდან 2023 წლის 17 თებერვლამდე მოქმედებდა საშტორმო გაფრთხილება. (იხ. ს.ფ. 124-125);

ნორმატიული აქტებით სტიქია განმარტებულია როგორც – ისეთი ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის ან სხვა საგანგებო სიტუაცია, რომლის დროსაც ირღვევა ადამიანთა ცხოვრების ნორმალური პირობები და ზარალდება მოსახლეობა. ასეთი საგანგებო სიტუაციებია: მიწისძვრა, მეწყერი, ჩამოცვენა, ჩამოშლა, ქვათა ცვენა, კარსტული ჩამოქცევა, ღვარცოფი, წყალდიდობა, წვიმის (თოვლის) წყალმოვარდნა, ქარიშხალი, ძლიერი ქარი, გრიგალი, ძლიერი ქარბუქი, დიდთოვლობა, ძლიერი გაყინვა, მსხვილი სეტყვა, ძლიერი წვიმები, ხანგრძლივი წვიმები, კოკისპირული წვიმები, გვალვა, ზვავი, ხანძარი და სხვა ბუნებრივი ან/და ტექნოგენური ან/და საგანგებო ხასიათის მოვლენები. (შედ. იხ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N12 დადგენილება)

2024 წლის 14 მაისის სხდომაზე დაკითხული მოწმეების - გ---- გ----, მ---- შ---- და ს---- დ---- ჩვენებების მიხედვით, 2023 წლის თებერვლის თვეში ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა ლ–––––––––––– საცხოვრებელი სახლის სახურავი, რის შესახებაც ეცნობა შესაბამის სამსახურებს და მათ შორის მერიის წარმომადგენელს, რომლებიც გამოცხადებული იყვნენ ადგილზე.

ზემოაღნიშნული მტკიცებულებების ერთობლივი შეფასების შედეგად, სასამართლო

ასკვნის, რომ 2023 წლის 16 თებერვალს სტიქიური მოვლენის (ძლიერი შტორმული ქარი) შედეგად დაზიანდა მოსარჩელე ლ–––––––––––– საცხოვრებელი სახლის სახურავი.

სამოტივაციო ნაწილი

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

საქმეში არსებული მასალებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არსებობს ლ–––––––––––– მიერ აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N14/49 განკარგულება;

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფზე, რომელიც ავალდებულებს სასამართლოს დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, ამავდროულად, სააპელაციო პალატა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (Hirvisaari v. Finland, §32; ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, N7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81) გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით განმარტავს, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას;

6.2. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი ყველას აძლევს გარანტირებულ უფლებას თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად სასამართლოს მიმართოს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,დ" ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი.
სასამართლო, ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ქ---ის 2023 წლის 07 ივლისის N42-4223188118 და 2023 წლის 23 აგვისტოს N42-422323563 წერილები, მოსარჩელისათვის სტიქიური უბედურების შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,დ'' ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, დავის განხილვისას უნდა შემოწმდეს მათი შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის გამოცემის მომწესრიგებელ შესაბამის ნორმებთან და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დებულებებთან.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით. შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობის საგანს, ასევე წარმოადგენს გამომდინარეობს თუ არა საქართველოს კანონმდებლობიდან მოსარჩელის მოთხოვნა სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით.

6.3. სასამართლო პირველ ყოვლისა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაზე, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა, რომ დაამკვიდრონ, მათ შორის **სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო.**

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, **საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე. სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის** ჯანმრთელობისა და **სოციალურ დაცვაზე,** საარსებო მინიმუმითა და **ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე,** ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობები განისაზღვრება კანონით.

სასამართლო განმარტავს, რომ კონსტიტუციის პრინციპებიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა, როგორიცაა უბინაოდ დარჩენილი ოჯახის სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფა **კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.**

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, **ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე,** საკვების, ტანსაცმლის, **ბინის,** სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, **რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად,** და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის **ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.**

სასამართლო მიუთითებს ევროპის სოციალური ქარტიის 31-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, **საცხოვრებელ ადგილზე უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ მიიღონ ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს შესაბამისი საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფას, უბინაობის პრობლემების თავიდან აცილებასა და შერბილებას მისი თანდათანობით აღმოფხვრის მიზნით.**

„ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, **ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეულის უფლებას ჰქონდეს** სათანადო კვება, ტანსაცმელი და **ბინა,** აგრეთვე უფლებას განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს. პაქტის მონაწილე სახელმწიფონი, რომლებიც აღიარებენ, რომ ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებულ საერთაშორისო თანამშრომლობას, **მიიღებენ სათანადო ზომებს ამ უფლების განხორციელების უზრუნველყოფისათვის.**

6.4. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N14/49 განკარგულებით და 2023 წლის 02 თებერვალს საკრებულოს N2/5 დადგენილებით შეტანილი ცვლილებებით, დამტკიცდა „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 04 29) განხორციელების წესი, რომელიც **განსაზღვრავს** ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო

ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N115 განკარგულების თანახმად, მიმდინარე წლის სტიქიური მოვლენების (ძლიერი ქარი) შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების გაცემას. დახმარების ოდენობა განისაზღვრება საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლების დაზიანების ხარისხის, მერიაში შექმნილი სტიქიის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ შედგენილი შესაბამისი დოკუმენტაციისა (დეფექტური აქტები, ფოტოსურათები) და სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილების (ოქმი) საფუძველზე.

ასევე, მითითებული განკარგულება განსაზღვრავს მერიაში განცხადების წარდგენის წესს, განცხადებაში მითითებულ სავალდებულო ინფორმაციასა და განცხადებასთან ერთად წარსადგენ დოკუმენტთა ჩამონათვალს. კერძოდ, დახმარების მისაღებად დაზარალებულმა მოქალაქემ ქ-–––––––

ლ–––––––––––– ეცნობა, რომ 2023 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილებით გასცეს პასუხი მის მიერ 2023 წლის 21 თებერვალს შეტანილ განცხადებაზე.

6.5. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესით განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის) მხარდაჭერის, ტურიზმის განვითარების, **სოციალური დახმარების მიზნით,** სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ ორგანოსთან კოორდინაციით – ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის და სხვა მიზნებით.

სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხე, რომელიც წარმოადგენს თავის ტერიტორიულ ერთეულში პირთა სოციალური დახმარების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ უწყებას, ვალდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმიერად და სრული პასუხიმგებლობით მიუდგეს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს - ზედმიწევნით ზუსტად დაადგინოს და შეაფასოს დაინტერესებული პირის/განმცხადებლის ფაქტობრივი გარემოებების ნორმატიული აქტით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის საკითხი, რაც უნდა განახორციელოს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის გზით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. მითითებული კოდექსის მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ

სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

სასამართლო განმარტავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კანონიერებაზე მსჯელობისას სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს რამდენად დასაბუთებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხის შერჩეული გადაწყვეტა, რაც თავის მხრივ, უნდა ეფუძნებოდეს საქმეზე ფაქტების ობიექტურ გამოკვლევა-დადგენა-შეფასებას. სასამართლო ამოწმებს არა შერჩეული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობას, არამედ, მის კანონიერება-დასაბუთებულობას, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა დაასაბუთოს, რომ მიღებული გადაწყვეტილება ყველაზე მისაღები იყო არსებული შესაძლებლობებიდან.

ნიშანდობლივია, რომ ადმინისტრაციულ დისკრეციას, პოზიტიურ ასპექტებთან ერთად, თან ახლავს ძალაუფლების არამართებულად გამოყენების მომეტებული რისკი და აუცილებელია, ადმინისტრაციული ორგანოსთვის დისკრეციის დელეგირება ხდებოდეს მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმების, პირობების შესაბამისად, რაც მინიჭებულ უფლებამოსილებას მოაქცევს სამართლებრივ ჩარჩოში და უზრუნველყოფს სამართლიანი ბალანსის დაცვას დისკრეციის მიზნებსა და მისი ბოროტად გამოყენების რისკს შორის. ამასთან, განჭვრეტადს გახდის დისკრეციის განხორციელების საფუძველს და წინაპირობებს ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას დაქვემდებარებული პირისათვის.

სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლი ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი

გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, კანონმდებელი მითითებული მუხლის მე-2 ნაწილში აზუსტებს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ, თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას.

მოცემულ შემთხვევაში, ქ-------------------------------------ის მიერ 2023 წლის 07 ივლისს მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ლ------------- განცხადება, მიზნობრივი ფინანსური დახმარების გაცემის თაობაზე. აღნიშნულის საფუძველი გახდა ის ფაქტი, რომ 2023 წლის თებერვლის თვეში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში სტიქია (ძლიერი ქარი) არ დაფიქსირებულა.

თუმცა, სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოსარჩელე მხარეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა კვარტალური ბიუჯეტის ამოწურვის გამო, რაზედაც სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული მსჯელობა სადავო აქტის შინაარსიდან არ გამომდინარეობს. სადაო აქტში მითითებულია, რომ - 2023 წლის თებერვლის თვეში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში სტიქია (ძლიერი ქარი) არ დაფიქსირებულა, რაც სხდომაზე მონაწილე მხარეთა განმარტებებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ვერ იქნება გაზიარებული.

საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ 2023 წლის 16 თებერვალს სტიქიური მოვლენის (ძლიერი შტორმული ქარი) შედეგად დაზიანდა მოსარჩელე ლ------------- საცხოვრებელი სახლის სახურავი. (იხ. გადაწყვეტილების 3.2.2. პუნქტი);
ამდენად, იმის გათვალისწინებით, მიზნობრივი დახმარების გაცემის დამაბრკოლებელ

გარემოებად მხოლოდ სტიქიის (ძლიერი ქარი) დადგენის შეუძლებლობა დასახელდა, საქმის გარემოებების ყოველმხრივ სათანადო გამოკვლევა საფუძველი იქნებოდა სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 07 ივლისისა და 2023 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილებებით ლ–––––––––––ას კანონმდებლობის ნორმებთან შეუსაბამოდ ეთქვა უარი 2023 წლის 21 თებერვლის განცხადებით თებერვლის თვეში ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავის აღდგენისათვის მოთხოვნილ მატერიალურ დახმარებაზე, რაც შესაბამისი აქტების ბათილად ცნობის საფუძველია.

6.6. სასამართლო კვლავ მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის ვალდებულება, კერძოდ - ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ წარმოებაში გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

სასამართლო მიუთითებს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის №ბს-246-243 (კ-14) გადაწყვეტილებაზე, სადაც მიუთითა, რომ ,,საკასაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში არაერთგზის განმარტა ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის წესების დაცვისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და აქტის დასაბუთების ვალდებულება, ხოლო ასეთის შეუსრულებლობის შემთხვევაში აქტის სამართლებრივი შედეგების შესახებ, კერძოდ: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოება წარმოადგენს პროცედურას - წესების ერთობლიობას, თუ რა უფლება-მოვალეობებით სარგებლობენ მისი მონაწილენი. ადმინისტრაციულ წარმოებაში პირის მონაწილეობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ დაინტერესებული პირის მოლოდინს, რომ მის მიმართ გამოიცეს კანონიერი და დასაბუთებული აქტი, არამედ მის უფლებასაც, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს მისი მომზადების სტადიებზე, რათა ობიექტური ზეგავლენა მოახდინოს იმ სამართლებრივ შედეგზე, რომელიც შესაძლოა მის მიმართ დადგეს.

ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილი ჩატარება ანუ მხოლოდ სათანადო პროცედურის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება დიდწილად განაპირობებს მის კანონიერებას, დასაბუთებულობასა და მიზანშეწონილობას“.

საკასაციო სასამართლომ ამავე გადაწყვეტილებაში ასევე განმარტა, რომ ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ეს უმნიშვნელოვანესი იმპერატიული ხასიათის დანაწესი ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს, რამდენადაც ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს განსახილველი საკითხის გარემოებებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს საკითხის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებული დასკვნა“. ამავე გადაწყვეტილების თანახმად, „ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, სწორედ რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტამდე, ანუ სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოფა დაკარგავს უზრუნველყოფადობას, სტაბილურობას, გარანტირებულობას, დაირღვევა სამართლის ნორმის და ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ნდობის პრინციპი, სამართლებრივი უსაფრთხოების განცდა, ხოლო ასეთ პირობებში, მყარი სამართლებრივი წესრიგის ადგილს დაიკავებს მმართველობითი ორგანოს სახელისუფლო ძალაზე დამყარებული თვითნებობა, მაშინ როცა ადმინისტრაციული ორგანოსადმი, შესაბამისად, სახელმწიფოსადმი ნდობის პრინციპი და სამართლებრივი უსაფრთხოება, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია“.

სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს უმნიშვნელოვანეს პროცედურულ ვალდებულებას - გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ეს უმნიშვნელოვანესი იმპერატიული ხასიათის დანაწესი ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს, რამდენადაც ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს განსახილველი საკითხის გარემოებებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს საკითხის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებული დასკვნა. ამ ვალდებულების შესრულება ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს ასევე უმნიშვნელოვანეს - მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას - ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ახსნას, განმარტოს, დაასაბუთოს, თუ რატომ, რა ფაქტებზე დაყრდნობით მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება, გარდა აღნიშნულისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო

უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს მიაჩნია, რომ დარღვეულია ბალანსი კერძო ინტერესების საწინააღმდეგოდ, რაც დაცვის ღირსი ინტერესის საფუძველია.

6.7. სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლზე, რომლის მიხედვით, **ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.**

სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, **თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.** ამასთან, კანონმდებელი მითითებული მუხლის მე-2 ნაწილში აზუსტებს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის **არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა** ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, **ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ, **თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერსს ან უკანონოდ ზღუდავს მას.**

ამასთან, მითითებული კოდექსის 33-ე მუხლი ადგენს, რომ თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სარჩელი საფუძვლიანია, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ადგილი აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და ზემოთ აღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის არსებით დარღვევას, **გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება არ შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან,** რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ქ-------------------------------------ის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მოსარჩელის მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფაზე უარის თქმის ნაწილში. ამასთან, ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა დაევალოს გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელე ლ-------------ათვის სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. საპროცესო ხარჯები

7.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

მოცემულ შემთხვევაში, სარჩელისათვის გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 100 ლარის ოდენობით გაღებული სასამართლო ხარჯის ანაზღაურება.

8. უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული საკითხები

8.1. მოცემულ საქმეზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებული არ ყოფილა.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2, მე-10, მე-12, 22-ე, 32-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 55-ე, 243-ე, 244-ე, 248-ე, 249-ე, 257-ე, 364-ე, 367-ე, 369-ე მუხლებით და

გადაწყვიტა

1. ლ-------------ას სარჩელი დაკმაყოფილდეს;

2. ბათილად იქნეს ცნობილი ქ--ის 2023 წლის 07 ივლისის

N42-4223188118 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

3. ბათილად იქნეს ცნობილი ქ---ის 2023 წლის 23 აგვისტოს N42-422323563 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

4. მოპასუხე ქ---ას დაევალოს გარემოებების სრულყოფილად შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელე ლ---------------ათვის (პ/ნ4----------) სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. მოპასუხე ქ---ას ლ--------------- სასარგებლოდ დაეკისროს სარჩელისათვის გადახდილი ბაჟის ანაზღაურება 100 ლარის ოდენობით;

6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (ქ. ქუთაისი, ნიუ პორტის ქ.№32) ფოთის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით (ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3) 14 დღის ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან.

მოსამართლე **გიორგი თუნაური**